სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/11

(ოქმი N7)

ქ. ბათუმი 23 ივნისი 2016 წ

შპს ,,საქართველოს ტელერადიოცენტრთან'' სატელევიზიო ციფრული მიწისზედა სიგნალის გავრცელების მომსახურების შესყიდვის მიზნით ორწლიან ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35^9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის, 35^2 მუხლის მეორე პუნქტის და მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად:

1. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის 2016 წლის 01 ივნისის N02-19/901 კორესპონდენციის საფუძველზე მიეცეს თანხმობა სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მენეჯმენტს გააფორმოს ორწლიანი ხელშეკრულება შპს ,,საქართველოს ტელერადიოცენრტთან'' სატელევიზიო ციფრული მიწისზედა სიგნალის გავრცელების მომსაურების შესყიდვის თაობაზე, ღირებულებით 321 640 (სამაოცდაერთიათას ექვსასორმოცი) ლარი.

2. ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 76-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე დაევალოს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორს, გონივრულ ვადაში მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, შპს ,,საქართველოს ტელერადიოცენტრი''-ს მიერ განხორციელებული ციფრული სატელევიზიო მიწისზედა სიგნალის გავრცელების მომსახურების ტარიფთან დაკავშირებით, იმ მიზნით, რომ დადგინდეს არის თუ არა ტარიფი ხარჯზე ორიენტირებული და არადისკრინმინაციული. იმ შემთხევაში თუ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება იქნება არადამაკმაყოფილებელი გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საშუალებები.

3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე ,,ajaratv.ge''.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

რუსუდან იმედაიშვილი

მრჩეველთა საბჭოს წევრები:

გიორგი ირემაძე

ზეჟან გობაძე

ირაკლი დარცმელიძე